ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7089858

ნომერი: AR11033260

თარიღი : 02.05.2024

გაცემის თარიღი : 20.06.2024

გაცნობის თარიღი : 21.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის ქუჩა, N 29ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით პაპიძე პ/ნ 01023007335
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 3, ბინა 26

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 02 მაისის AR11033260 განცხადებით მომართა დავით პაპიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებაში 2018 წლის 12 მარტს № 3855508 ბრძანებით შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები , დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.10.18.006.186, ფართობი: – 1947 კვ.მ., განცხადების რეგისტრაციის ნომერი: #892018149993, მომზადების თარიღი: 22/02/2018წ) და ამონაწერი საჯარო

რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018201082, თარიღი: 12/03/2018 წ.) , დაემატა განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზის განახლებული დანართი. დაემატა: პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი გენგეგმა გამწვანებისა და საბავშვო მოედნის ჩვენებით.
2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებაში 2018 წლის 31 აგვისტოს №4144074 ბრძანებით შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები, ფუნქციად დაფიქსირდა- "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი".
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და ფართობი.
დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო გეგმისა (ს/კ N 01.10.18.006.257) (2359.00 კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22/04/2016 წლის №2527353
ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს ახალი საკადა სტრო გეგმა
(საკადასტრო კოდი: N 01.10.18.006.257; ფართობი 2359.00 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი 882024619182; რეგისტრაციის თარიღი :
29/04/2024 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N882024493692 ,რეგისტრაციის თარიღი 08/04/2024წ.);
2. მომატებული მიწის ნაკვეთის ფართობის (412 კვ.მ) რესურსის (განაშენიანების კოეფიციენტი კ1, განაშენიანების ინ ტენსივობის
კოეფიციენი კ2) გამოყენების უფლების გარეშე . მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) ან გარიში მოხდეს
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 16/10/2019 წლის №01.01192894 ბრძანების შესაბამისად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპა ლიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 აპრილის №2527353
ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7),
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.